ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5763717

ნომერი: AR1872194

თარიღი : 12.01.2022

გაცემის თარიღი : 17.01.2022

გაცნობის თარიღი : 17.01.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თორნიკე ერისთავი , N 2 ; ქალაქი თბილისი , მექანიზაციის ქუჩა N1 ; ქალაქი თბილისი , მექანიზაციის ქუჩა N1 , (ნაკვეთი N1/95);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ კოსტრიჩკო პ/ნ 01024086096
- საქართველო, ქალაქი თბილისი, III მასივი, IX კვარტალი, კორპუსი 5, ბინა 21

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

წარმოადგინეთ ის ფოტოსურათებიც რომელზეც ფოტომონტაჟებია დამუშავებული.

წარმოადგინეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო მონაკვეთის მონიშვნით.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახური მეორე სართულზე არსებული კიბის მოწყობას არ განიხილავს აღნიშნული სამუშაო არ განეკუთვნება პირველი კლასის რეკონსტრუქციას შესაბამისად დაზუსტდეს მოთხოვნა და წარმოდგენილი იქნას კორექტირებული ფოტომონტაჟი ასევე სამსახურში უკვე შემოსულია ფასადის სამუშაოებთან დაკავშირებით სხვა AR1824341 განაცხადი. შესაბამისად ამ განცხადებაზე უნდა დაზუსტდეს მოთხოვნა და მოღებული იქნას კიბის მოწყობის სამუშაოები ფოტომონტაჟიდან.

შესაბამისად თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.